საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მელაანი

მელაანი, სოფელი კახეთის რეგიონის გურჯაანის მუნიციპალიტეტში (მელაანის ადმ. ერთ.), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 750 *მ*. სათავო სოფელი, გურჯაანიდან 25 *კმ*, 1079 მცხ. (2014). 2020 მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

სოფლის ტერიტ-ზე ადამიანი უძველესი დროიდანაა დასახლებული. არქეოლ. მასალით მტკიცდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში სოფელსა და მის შემოგარენში ადამიანის უწყვეტი ცხოვრების კვალი, რასაც ხელს მ-ის ბუნებრივი, მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის ხელსაყრელი პირობები უწყობდა ხელს. გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში მ-ში, მელი-ღელესა და არაშენდას მახლობლად სამოსახლოსაგან გამოყოფილი ოთხი სამლოცველო ყოფილა. მკვლევრების (კ. ფიცხელაური) ვარაუდით, აქ რელიგიური ცენტრი არსებობდა. საინტერესოა ამ მხარის ტოპონიმიკაც: მ., მელი-ღელე, გადრეკილი, რაც შესაძლოა საქართველოში გავრცელებულ ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებების – „მელია-ტელეფიას“ და „ადრეკილაის“ სახელწოდებებს უკავშირდება.

XVI ს. შუა წლებიდან სოფ. ჭერემის საეპისკოპოსოს დაქვემდებარებაში იყო. ამ საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ მ. ბოდბელ მიტროპოლიტ იოანეს გადასცეს, პარალელურად სოფლის ყმა-მამულზე ცალკეულ ფეოდალთა (ანდრონიკაშვილები, მოურავისშვილები, ყარაბუდაღიშვილები) უფლებებიც გავრცელდა. 1802 მ. ლეკებმა ააოხრეს.

სოფელში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ღვთისმშობლისა და წმ. მარინეს დარბაზული ეკლესიები, სოფლის ჩრდ-ით 1 *კმ*-ზე – XVIII–XIX სს. სამების გუმბათიანი, დას-ით 2 *კმ*-ზე – XIX ს. წმ. გიორგის დარბაზული, ხოლო 1,5 *კმ*-ზე, დიდთელებად წოდებულ ადგილზე – წმ. ბარბარეს ეკლესიები.

მ-ის მახლობლად მრავალი არქეოლ. ძეგლია (იხ. *მელაანის არქეოლოგიური ძეგლები*).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 1, თბ., 2013.